

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი

18.03.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნოდარ პაპუკაშვილი - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე; ზურაბ გასიტაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოლონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სხდომის მდივანი;

სოფიკ ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გიორგი სალუქვაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს მდივანი; ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ევა ლეფსვერიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი;

თინათინ კაიშაური - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

თამარ ბალდავაძე - შპს „ლენდ მარკ პროექტის“ არქიტექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს სამოციულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხელოვნების ლექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ნინო გაგლიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენლები:

ქეთევან ქოქრაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე; გიორგი ქვარცხავა - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
დავით მიქელაძე-პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ელენე ჟურავლიოვა - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნელი დათუკიშვილი - პროფესორი;
თამარ ბარბაქაძე - ასოცირებული პროფესორი.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატირიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:

სერგო ვარდოსანიძე - რექტორი;
პაატა გოგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან ქისტაური - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო დამენია - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო ტალიაშვილი - იურისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:15 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^ე-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28^ე-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს, გრიგორ ტატიშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, აკრედიტაციის დებულების 28^ე-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები აკრედიტაციის საბჭო ადმინისტრაციულ წარმოებაში, მათ შორის, ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ამ საბჭოს თავმჯდომარით ან მისი თანხმობით, საბჭოს სხვა წევრით. შესაბამისად

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე - ქეთევან ქოქრაშვილი და აკრედიტაციის საბჭოს წევრი - გიორგი ქვარცხავა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატიოარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს აცილება არ ჰქონდა.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თვითაცილება განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა - სოფიკო ლობჟანიძემ და ეკა ლეფსვერიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს პოზიციის წარმოსადგენად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საკვები პროდუქტების მეცნიერების პროგრამის მიმართ არ ყოფილა შემუშავებული პრობლემური რეკომენდაციები, რამდენიმე პირველი ნაკადი პროგრამაზე ჩაირიცხა 2015 წელს. 2018 წელს პროგრამას უწევდა რეაკრედიტაცია, შესაბამისად მოხდა პროგრამის ანალიზი, შემუშავებული იქნა სამიზნე ნიშნულები, მოწვევული იყო მრჩეველთა საბჭო სადაც განხილული იქნა რიგი საკითხები და კვლევებზე დაყრდნობით პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. 2018 წლის სექტემბერში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტი ექსპერტების მხრიდან პროგრამის მიმართ გაუღერდა დადებითი შეფასებები, მათ მიერ



შემუშავებული დასკვნის შინაარსი იყო ზომიერი თუმცა მთლიანობაში დადგებითი. რამდენიმე რეკომენდაცია ეხებოდა იმას თუ როგორ უნდა ჩამოყალიბებინათ სწავლის შედეგები და რა უნდა დაემატებინათ დასაქმების სფეროს თვალსაზრისით. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომები და აღნიშნეს რომ შეფასება გახლდათ დადგებითი. აღსანიშნავი იყო, რომ როდესაც პროგრამა განხილული იქნა წევრის მხრიდან დაფიქსირდა მოსაზრება, რომ პროგრამა კარგი იყო თუმცა ასწავლიდნენ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე შედგა მწვავე დისკუსია, აკრედიტაციის საბჭოს რამდენიმე რომ კურსებს და ეჭვის ქვეშ დადგა შეძლებდნენ თუ არა სტუდენტები პროგრამის დამლევას და კვლევების განხორციელებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე იღებდნენ 6 სტუდენტს და მათთან ხორციელდებოდა ინდივიდუალური მუშაობა. დაწესებულებას მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდა იმ პრაქტიკის ობიექტებთან სადაც სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას და მუდმივად იღებდნენ უკუკავშირს. პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელები გახლდნენ ფაკულტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრები იმისათვის, რომ მუდმივად ყოფილიყვნენ საქმის კურსში თუ როგორ ხორციელდებოდა პრაქტიკის კომპონენტები და სხვადასხვა ეტაპზე ხომ არ ექმნებოდათ სტუდენტებს გარკვეული სახის პრობლემები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განხილვა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაიწყო რთულად, რამდენიმე საბჭოს წევრს ჰქონდა შენიშვნები გარკვეული კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით, დაწესებულებამ მათ განუმარტა, რომ მათ ჰქონდათ სემესტრული განაწილება, კონკრეტულ კურსები იყითხებოდა მესამე სემესტრში და სტუდენტებს ჰქონდათ მითითება თუ როგორ უნდა გასულიყვნენ შედეგზე. აღნიშნულის შემდგომ სხდომაზე დისკუსია გადაიზარდა დიალოგში, საბჭოს წევრებისგან გაიქცერა შინაარსი ზოგიერთი კურსისა შეესაბამებოდა საბაკალავრო დონეს. რამდენიმე სახელმძღვანელოსთან მიმართებით გამოყენებული იყო ტერმინი რომ ის გახლდათ საბაკალავრო საფეხურის წიგნი. მაგალითად აღინიშნა, რომ ლენინჯერის ბიოქიმიის სახელმძღვანელო გახლდათ დაბალი დონის და არ შეესაბამებოდა სამაგისტრო საფეხურს, რომლის მოცულობა გახლდათ 1328 გვერდი წარმატებით იყენებდნენ მაგისტრატურაში,

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სხდომაზე დისკუსიის დროს მუდმივად ხდებოდა შედარება თუ როგორ ისწავლებოდა გარკვეული საგნები კონკრეტულ უნივერსიტეტში, შესაბამისად სხდომაზე არ იყო განხილული სტანდარტთან შესაბამისობა და ექსპერტთა მიერ დასკვნაში ასახული მოსაზრებები პროგრამასთან დაკავშირებით. საბოლოო ჯამში საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია ერთი წლით. საბჭოს თავმჯდომარემ მათ უთხრა რომ მათ არ ჰქონდათ სერიოზული დარღვევები, მარტივად შეძლებდნენ გამოსწორებას და პროგრამის ხელახლა წარმოდგენას აკრედიტაციის მიზნით. ასეთი გადაწყვეტილება დაწესებულებისათვის გახლდა მოულოდნელი, მათ აკრედიტაციის საბჭოს ოქმშიც ვერ ნახეს დასაბუთება იმისა თუ რა მიიჩნია საბჭომ ისეთ დარღვევად რომ მიიღო აღნიშნული ტიპის გადაწყვეტილება. მათ ვერ გაიგეს თუ რატომ არ შეესაბამებოდა პროგრამა სტანდარტის მოთხოვნებს და კონკრეტულად რა უნდა გამოესწორებინათ. აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულება მუდმივად მუშაობდა პროგრამის

გაძლიერებაზე, მუშაობდნენ იმაზე რომ შესაბამისობა ჰქონოდათ ყველა სტანდარტთან და თავად პროგრამა ყოფილიყო მაღალი ხარისხის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა იმის თაობაზე ითვალისწინებდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა იმას რომ პროგრამის მიზნებიდან ამოღებული ან ჩანაცვლებული ყოფილიყო ფრაზა „საკვები პროდუქტების დამზადება“ და სადაც საჭირო იყო ტერმინი „უსაფრთხოება“ გასწორებულიყო ტერმინით „უვნებლობა“. ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის მიმდინარეობისას განემარტა რომ პროგრამა არ ზრდიდა კვების ტექნოლოგის არამედ ასწავლიდნენ ტექნოლოგიის ბიოქიმიურ პროცესებს რაც ახლდა კვების წარმოებას, ღვინის წარმოებას, ლუდის ხარშვას და ა.შ. რაც შეეხებოდა ტერმინის შეცვლას დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტების მოსაზრებას და ტერმინი „უსაფრთხოება“ შეიცვალა „უვნებლობით“.

საბჭოს წევრმა, ზურაბ გასიტაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტები მიუთითებდნენ, რომ პროგრამაში არ ჩანდა კურსი სურსათის უვნებლობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უვნებლობის საკითხები განხილული იყო თითქმის ყველა კურსში საკვები: პროდუქტების ტოქსიკოლოგია, შეფუთვა, საკვები დანამატები, მიკრობიოლოგია ყველა აღნიშნული კურსი ფარავდა საკითხს და არ ჰქონდათ ცალკე კურსის სახით გამოტანილი. თუმცა განვითარებისათვის სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები იმის თაობაზე, რომ მათ წარმომადგენელს გაეკეთებინა სემინარი უვნებლობის საკითხებზე. ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებმაც აჩვენა რომ მათ არ ჰქონდათ მოთხოვნა სურსათის უვნებლობის ცალკე კურსის სახით ჩამოყალიბებისა.

საბჭოს წევრი, ზურაბ გასიტაშვილი დაინტერესდა რაში მდგომარეობდა პროგრამის მთავარი მიზანი. გასაგები იყო რომ აკეთებდნენ ანალიზებს რომელიც უკავშირდებოდა ბიოლოგიურ და ქიმიურ პროცესებს, მაგრამ ანალიზი თავისთვად მიმართული უნდა ყოფილიყო გარკვეული მიზნისაკენ.

დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა კონკრეტულად რა იგულისხმებოდა დასმულ შეკითხვაში.

საბჭოს წევრმა, ზურაბ გასიტაშვილმა განაცხადა, რომ მაგალითისათვის არსებობდა პროდუქტი რომელზეც ტარდებოდა გარკვეული ანალიზი. ანალიზის შედეგებს უნდა მოეცვა სისტემატიზაცია. მას აინტერესებდა რაში მდგომარეობდა სამაგისტრო ნაშრომი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საუბარი იყო საკვები პროდუქტების მეცნიერებაზე, იმაზე თუ როგორ ხდებოდა საკვებში, გარკვეული ტიპის სურსათში სხვადასხვა ტიპის გარდაქმნები. ჯანსაღი კვება და ჯანსაღი საკვები პროდუქტები გახლდათ ევროვავშირის №1 პრიორიტეტი. ჯანსაღი საკვები პროდუქტების მიღებას, ბიოქიმიურ

პროცესს და ტექნოლოგიას, მის ტოქსიკოლოგიას და სხვადასხვა პროცესებს ასწავლიდა სწორად აღნიშნული პროგრამა. როდესაც ამბობდნენ რომ საკვების შემადგენლობაში არ უნდა ყოფილიყო გარკვეული ნივთიერება მათ შეეძლოთ დაემტკიცებინათ თუ რატომ არ უნდა ყოფილიყო და რა პათოლოგიებს გამოიწვევდა მისი არსებობა.

საბჭოს წევრმა, ზურაბ გასიტაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაში იკითხებოდა რომ პროგრამა თანხვედრაში მოდიოდა მედიცინის საკითხებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საუბარი ეხებოდა რამდენიმე კურსის სწავლის შედეგს. მაგალითად, დიეტოლოგის კურსის სწავლის შედეგში ეწერა რომ „შეეძლო შეერჩია სწორი კვება ადამიანის ასაკობრივი და ეთნიკური ჯგუფიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე“. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებს განემარტათ რომ არსად არ ეწერა, რომ კურსდამთავრებული დაუნიშნავდა პირს სპეციალურ კვებას, საუბარი იყო მხოლოდ კურსის შედეგზე. ვინაიდან სტუდენტებს ჰქონდათ დავალება დაავადებიდან გამომდინარე ევარაუდათ რა ტიპის ნაერთების მოხვედრა მოახდენდა დადებით ზეგავლენას ადამიანის მდგომარეობაზე მხოლოდ აღნიშნული მიზნით იყო გაკეთებული ჩანაწერი. შერჩევა არ გულისხმობდა იმას რომ დაწესებულება აძლევდა სტუდენტს უფლებას დაენიშნა დიეტა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმის თანახმად პროგრამა ვერ გადიოდა იმ შედეგზე, რაც იყო გათვალისწინებული. მას აინტერესებდა აღნიშნული გამომდინარეობდა ტექნიკური თუ შინაარსობრივი უზუსტობიდან. ოქმი მითითებული იყო, რომ პროგრამის სწავლის შედეგები სცდებოდა მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დიეტოლოგია ითვლებოდა რომ იყო სამედიცინო საგანი, რომელიც ისწავლებოდა სამედიცინო მიმართულების მქონე დაწესებულების მიერ და მის კურსდამთავრებულს უფლება ჰქონდა პაციენტისათვის შეერჩია შესაბამისი დიეტა. მათი პროგრამა ასეთ ფუნქციას არ ითავსებდა.

საბჭოს წევრმა, ირაკლი მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ იმისათვის, რომ პაციენტისათვის დაენიშნათ დიეტა, კურსდამთავრებულს უნდა სცოდნოდა დაავადების პათოგენოზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დიეტოლოგის კურსში ასწავლიდნენ დაავადების პათოგენოზს, ხოლო უშუალოდ კურსის შინაარსი განსაზღვრავდა თუ რისთვის იყო სასარგებლო ესა თუ ის საკვები და რატომ უნდა ყოფილიყო დანიშნული დიეტის სახით, რა ტიპის დაავადებების აცილება იქნებოდა შესაძლებელი.

საბჭოს წევრი, ირაკლი მჭედლიშვილი დაინტერესდა ასწავლიდა თუ არა აღნიშნულ საგანს ექიმი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დიეტოლოგის საგანს არ ასწავლიდა ექიმი, ორიენტირი გახლდათ პათოლოგიური ფიზიოლოგიის სწავლებაზე.

საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, რომ მისი შთაბეჭდილებით საქმე ეხებოდა არა კვების რეუიმის დანიშვნას არამედ კონკრეტული საკვების ავარგიანობას დიეტის დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეალურად ისწავლებოდა რა დადებითი და რა უარყოფითი გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა საკვებს ადამიანის ორგანიზმზე და როგორ შეიძლებოდათ გაეძლიერებინათ დადებითი თვისებები. სამაგისტრო თემები სრულდებოდა სხვადასხვა მიმართულებით, ზოგიერთი იკვლევდა ბიოლოგიურად აქტიურ, ესმოდეს რომელ დაავადებებში იყო შესაძლებელი შემდგომ მისი კვლევის გაგრძელება. შესაბამისად ასევე ისწავლებოდა თუ როგორი ხერხით უნდა შეემცირებინა კვლევა, აპლატოცინები და ა.შ.

საბჭოს წევრი, ზურაბ გასიტაშვილი დაინტერესდა, თუ დაწესებულებამ აღნიშნული გარემოება განუმარტა ექსპერტებს ვიზიტის დროს, რატომ ჩაწერეს მათ რეკომენდაცია დასკვნაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ არ იცოდნენ რატომ ჩაიწერა დასკვნაში რეკომენდაცია. ზოგადად დაწესებულება ელოდა უკეთეს დასკვნას ვინაიდან ვიზიტის დროს როგორც აღინიშნა, ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს პროგრამის დადებით მხარეებს და განსაკუთრებით საუკეთესო პრაქტიკას სამაგისტრო ნაშრომების შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც შემდგომ დასკვნაში არ იქნა ასახული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელიც გახლდათ „საკვები პროდუქტების ბიოქიმიის“ განაცხადა, რომ მონაწილეობდა მიკრობიოლოგიის მასწავლებელთა საერთაშორისო დგებოდა სტანდარტები თუ როგორ უნდა ისწავლებინათ მიკრობიოლოგია და საკვები პროდუქტების მეცნიერების კურსი, შესაბამისად მან კარგად იცოდა სტანდარტები. ერთი შენიშვნა ეხებოდა მიკრობიოლოგიის კუთხით სახელმძღვანელოებს. მას შეეძლო მოეყვანა მაგალითები, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მიკრობიოლოგიის კურსში შესული იყო აღნიშნული ექსპერტებს ამის თაობაზე დასკვნაში არ დაუფიქსირებიათ მოსაზრება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ვინაიდან აკრედიტაციის საბჭოს სხდომიდან გასული იყო დაახლოებით ექვსი თვე გამოასწორა თუ არა დაწესებულებამ რაიმე ექსპერტების და საბჭოს წევრების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როგორც აღინიშნა ტერმინის უსაფრთხოება შეცვლილი იქნა, ხოლო რაც შეეხებოდა სახელმძღვანელოებს, გამოკითხული იყვნენ კურსდამთავრებულების და აქტიური სტუდენტები კურსების დამლევადობასთან დაკავშირებით თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით პრობლემა არ დაფიქსირებულა. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ლაბორატორიული საათების დამოუკიდებელ საათებად

გადატანასთან დაკავშირებით, გათვალისწინებული იქნა და ცალკე იქნა გაწერილი ლაბორატორიული საათები დამოუკიდებელ სამუშაოებში.

საბჭოს წევრი, გრიგორ ტატიშვილი დაინტერესდა ხომ არ შეიცავდა საფრთხეს ლაბორატორიაში სტუდენტის დამოუკიდებლად მუშაობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლაბორატორიაში მუდმივად იმყოფებოდა ლაბორანტი, ასისტენტ-მკვლევარი და დოქტორანტები. მათ არ უნდოდათ რომ გამოეშვათ ისეთი მაგისტრანტები რომელთაც არ ეცოდინებოდათ დამოუკიდებელი მუშაობა.

საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, რომ როგორც ოქმიდან ირკვეოდა საბჭოს რამდენიმე წევრს ჰქონდა შინაარსობრივი შენიშვნა რამდენიმე კურსის წინაპირობებთან დაკავშირებით, მაგალითისათვის ალერგოლოგის რჩეული თავები. მას აინტერესებდა თუ სტუდენტს არ ექნებოდა გარკვეული ცოდნა მიღებული წინა საფეხურზე შეძლებდა თუ არა აღნიშნული კურსის დაძლევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ გაწერილი სემესტრული გეგმა, მოქმედებდნენ მარტივიდან რთულისკენ მიმავალი პრინციპით და თუ მისაღებ გამოცდაზე გამოვლინდებოდა რომ სტუდენტს აკლდა გარკვეული ცოდნა კონკრეტულ საგანში მას შეეძლო აერჩია კურსები როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო საფეხურის პროგრამებიდან იმისათვის რომ შეეციო დანაკლისი. რაც შეეხებოდა კურსდამთავრებულთა კვლევა, გამოშვება ჰქონდათ 2017-2018 წლებში, რაოდენობა არ იყო დიდი, უმეტესობას სურვილი ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინათ სადოქტორო საფეხურზე, შესაბამისად მათ მუდმივად ჰქონდათ მათთან კომუნიკაცია, იცოდნენ სად იყო დასაქმებული თითოეული კურსდამთავრებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო სამაგისტრო ნაშრომები, ისინი წარმოადგენდნენ სერიოზული კვლევის და ექსპერიმენტების შედეგებს, შესაბამისად მსჯელობა იმის თაობაზე რომ პროგრამა გახლდათ მარტივი ბათილდებოდა სწორად სამაგისტრო ნაშრომებით, რაც თვალწათლივ იყო იმის მაგალითი რომ პროგრამა გადიოდა შედეგზე. სტუდენტების უკუკავშირი გროვდებოდა იმისათვის რომ გაუმჯობესებულიყო პროგრამა და არა იმიტომ რომ დაემტკიცებინათ ექსპერტებისათვის რომ მათ ჰქონდათ შესაბამისი რესურსები.

საბჭოს წევრი, ირაკლი მჭედლიშვილი დაინტერესდა რამდენად მდგრადი იყო პროგრამა ფინანსურად, ვინაიდან პროგრამაზე სწავლობდა მხოლოდ 6 სტუდენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადი იყო, ვინაიდან პროგრამის უკან იდგა უნივერსიტეტის შიდა კვლევითი ინსტიტუტი რომელსაც ყოველწლიურად ჰქონდა თავისი ბიუჯეტი.

საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, რომ საჩივრიდან იკითხებოდა, რომ თითქოს აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ერთეულთა წევრმა იგრძნო გარკვეული კონკურენცია და მოახდინა გავლენა სამოლოო გადაწყვეტილებაზე. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა აღნიშნულ საკითხზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი პროგრამა არ იყო არცერთი დაწესებულების კონკურენტი, შესაბამისად მათვის გაუგებარი იყო რამ გამოიწვია დისონანსი და რა ედო საფუძვლად მიღებულ გადაწყვეტილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა აკრედიტაციის საბჭოს წევრს, გიორგი ქვარცხავას.

გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს რომ ჩაეთვალა, რომ პროგრამა ვერ გადიოდა შედეგზე არც პირობითი აკრედიტაციის გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. რაც შეეხებოდა უშუალოდ საჩივარს, ექსპერტების მიერ პროგრამა 4 სტანდარტის მიხედვით შეფასებული იყო შესაბამისობით ხოლო ერთი მეტწილი შესაბამისობით. მსგავსი გადაწყვეტილება აკრედიტაციის საბჭოს არაერთხელ ჰქონდა მიღებული, აღნიშნული იყო მათი უფლება როდესაც უშუალოდ მსჯელობისას გამოიკვეთებოდა სტანდარტთან შეუსაბამობა. მას არ მოჰყავდა შედარება თუმცა აღნიშნა რომ მათი დაწესებულების პროგრამასაც რომელსაც 5 სტანდარტიდან 4 ჰქონდა სრულ შესაბამისობაში საბჭომ მისცა პირობითი აკრედიტაცია. სტენოგრაფიული ჩანაწერი რომელიც წარმოდგენილი იყო ოქმის სახით შესაძლოა გარკვეულწილად ყოფილიყო გაურკვეველი ვინაიდან ის არ წარმოადგენდა ცოცხალ ჩანაწერს.

გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ პროგრამის დაშვების წინაპირობებში ეწერა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ სტუდენტს სასურველი იყო ჰქონოდა ბაკალავრის ხარისხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებში, ფსიქოლოგიაში, ჰქონოდა დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაცია. როდესაც აღინიშნა, რომ საბჭოს მოსაზრებით ზოგიერთ შემთხვევაში პროგრამა იყო რთული ან მარტივი გარკვეულწილად წარმოადგენდა სიმართლეს. თუ პროგრამაზე ჩარიცხებოდა ფსიქოლოგიის ბაკალავრი საინტერესო იყო შეძლებდა თუ არა ის პირველ სემესტრში ბიოქიმიის კურსის დამლევას, თუ მოვიდოდა ქიმიის ან ბიოლოგიის კვალიფიკაციის მქონე სტუდენტი რამდენად ადგევატური იქნებოდა მისთვის აღნიშნული პროგრამა. სხდომაზე არ ყოფილა საუბარი იმის თაობაზე რომ პროგრამა იყო ცუდი, საუბარი იყო იმის თაობაზე რომ რამდენიმე სილაბუსში იყო შეუსაბამობა. მაგალითად სისტემების ბიოქიმიის კურსი, კურსის მიზანში ეწერა რომ, მიზანი იყო მიეცა სტუდენტისათვის სიღრმისეული ცოდნა თანამედროვე ბიოლოგიური კვლევების ლაბორატორიულ მეთოდოლოგიაში მაშინ როდესაც ლაბორატორია საერთოდ არ იყო გათვალისწინებული სასწავლო კურსში. კურსში „საკვები პროდუქტების ქიმია და ბიოქიმიაში“ ასევე არსებობდა ჩანაწერი კურსის მიზანში იმის თაობაზე რომ ის დაეხმარებოდა სტუდენტს დასაქმებულიყო ლაბორატორიებში, ხარისხის კონტროლის დაწესებულებები და ა.შ. მან ასევე ისაუბრა რამდენიმე კურსების თემებთან დაკავშირებით და გამოთქვა მოსაზრება რომ ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტი ვერ დამლევდა თემატიკას მათი მოცულობის გამო. აღსანიშნავი იყო ასევე დასაქმების სფერო სადაც ეწერა. რომ კურსდამთავრებული შესაძლებელი იყო დასაქმებულიყო სასმელი და საკვები პროდუქტების საწარმოებში, საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში. მისი მოსაზრებით იმ ცოდნით რომელსაც სტუდენტი მიიღებდა მაგისტრატურაში აღნიშნულ სექტორში დასაქმება მას გაუჭირდებოდა. სხდომაზე საუბარი იყო საბაკალავრო და სამაგისტრო დონის კურსების შედარებაზე, თუმცა აღნიშნული არ ეხებოდა ყველა სილაბუსს და თემას, ძირითადი აქცენტი გაკეთდა „კვების პროდუქტების ქიმიის“ კურსზე რომელსაც ეთმობოდა 18 საათი და ერთერთ

თემას წარმოადგენდა PH განსაზღვრა რომელიც უნდა ესწავლებინათ საბაკალავრო საფეხურზე.

გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ პროგრამის მიხედვით სავალდებულო იყო სტუდენტს აეთვისებინა 54 კრედიტი, ბოლო სემესტრში წარმოადგენილი იყო 30 კრედიტი საიდანაც 24 კრედიტი ეთმობოდა კვლევით კომპონენტს. მთლიანობაში 54 კრედიტის ფარგლებში ერთ საგანს ჰქონდა დათმობილი 18 ლაბორატორიული საათი, კიდევ ერთ საგანს ეთმობოდა 6 საათი და 2 საათი. უშუალოდ დასკვნაშიც იყო აღნიშნული რომ სტუდენტების გარკვეულ რაოდენობას არ ჰქონდა შესაბამისი განათლება. აღნიშნულიდან გამომდინარე თუ მათი ცოდნის დონე არ იყო ადექვატური მესამე სემესტრში ზოგიერთი ლაბორატორიული მეთოდი მათვის რთულად დასაძლევი იქნებოდა. გასასწორებელი იყო ასევე საბუთები, რაშიც იგულისხმებოდა რომ მაგალითისათვის დასაქმების სფეროდან ამოდებული უნდა ყოფილიყო საწარმო სადაც რეალურად მას გაუჭირდებოდა დასაქმება. ასევე შეუსაბამობები იყო მათსავე დაწერილ დოკუმენტსა და შინაარს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 24 კრედიტი წარმოადგენდა ლაბორატორიულ კვლევით კომპონენტს სამაგისტრო ნაშრომისათვის. მათ არ ჰქონდათ გათვალისწინებული პროგრამაში თეორიული ნაშრომი.

გიორგი ქვარცხავამ ასევე ისაუბრა საჩივარში დაფიქსირებულ ფაქტზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ მან მოახდინა ზეგავლენა საბჭოს წევრებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ის არ გახლდათ არცერთი მსგავსი პროგრამის ხელმძღვანელი, მას ეკავა ფაკულტეტის დეკანის პოზიცია რომელზეც ხორციელდებოდა პროგრამა, ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გახლდათ მათი ფაკულტეტის წევრი, თუმცა ის რომ მან არ გაიზიარა მისი მოსაზრება მეტყველებდა მხოლოდ იმაზე რომ აკადემიური თავისუფლება მათ დაწესებულებაში დაცული იყო უმაღლეს დონეზე. საჩივარში საუბარი იყო იმის თაობაზე, რომ მის მიერ მუდმივად ხდებოდა ორი პროგრამის შედარება. თუ დაწესებულება კარგად გაეცნობოდა ოქმს ნახავდა, რომ შედარება მოხდა მხოლოდ ერთხელ, სადაც დაფიქსირდა, რომ ერთ-ერთი კურსი კონკრეტულ დაწესებულებაში ისწავლებოდა საბაკალავრო საფეხურზე.

გიორგი ქვარცხავამ ასევე განაცხადა, რომ სააპელაციო საჩივრის მიხედვით, მან აკრედიტაციის საბჭოს მსვლელობისას დაარღვია აკრედიტაციის დებულების ის მუხლები რომელიც არეგულირებდა საბჭოს წევრის უფლებამოსილებას, კერძოდ აკრედიტაციის დებულების 27⁴ მუხლის პირველი, მეორე და მეოთხე პუნქტები. მისი განმარტებით, დებულების მეორე პუნქტს, სადაც საუბარი იყო იმაზე რომ საბჭოს წევრს უნდა შეენარჩუნებინა ნეიტრალურობა ნებისმიერ სიტუაციაში, არ უნდა მოქცეოდა დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ მათი სტატუსის მიუხედავად. მეოთხე პუნქტის თანახმად, საბჭოს წევრი ორიენტირებული უნდა ყოფილიყო თანამშრომლობაზე და არ უნდა წარმოედგინა თავი პრივილეგირებულ პოზიციაში. საჩივრის თანახმად, საჯაროდ ეჭვის ქვეშ არ უნდა დაეყენებინა ექსპერტების, დაწესებულების წარმომადგენლის, საბჭოს წევრის და სააპელაციო საბჭოს წევრის კომპეტენტურობა მიუხედავად იმისა ეთანხმებოდა თუ არა მათ პოზიციას. ის არ ეთანხმებოდა აღნიშნულ მოსაზრებებს და მიმართავდა ცენტრს თხოვნით შეესწავლა საჩივარში წარმოდგენილი პოზიცია, თუ სად შეიტანა აკრედიტაციის საბჭოს წევრმა ეჭვი და



არ დაეთანხმა ექსპერტების კომპეტენტურობას და მოყვანილი ყოფილიყო კონკრეტული ფაქტები როდის დაირღვა მისი მხრიდან ნეიტრალურობა. თუ დამტკიცდებოდა ის, რომ მისი მხრიდან ნამდვილად ადგილი ჰქონდა მსგავს ფაქტებს ის დაწერდა განცხადებას და დატოვებდა აკრედიტაციის საბჭოს, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივრის ავტორს და საჩივრის ხელმომწერს უნდა აელო პასუხისმგებლობა ცილისწამებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა გიგა ქვარცხავას და დაინტერესდა რატომ იყო ემოციური და სუბიექტური მისი მონაწილეობა განხილვაში თუ მხოლოდ საბუთების მოწესრიგებაში იყო საქმე და პროგრამის შინაარსი იყო კარგი.

საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ფორმატით განხილვა არ იქნებოდა მართებული, ის გიორგი ქვარცხავას ეთანხმებოდა იმაში, რომ სწავლის შედეგები და კომპეტენციები უფრო კარგად იყო წარმოჩენილი ვიდრე იქნებოდა რეალობა. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ საჩივარი არ იყო დაწერილი კორექტულად ვინაიდან მასში პირდაპირი ბრალდება იყო მიმართული გიორგი ქვარცხავას წინააღმდეგ.

დაწესებულების წარმომადგენელმა კომენტარი გააკეთა ლაბორატორიულ საკითხებთან დაკავშირებით, როდესაც საუბარი იყო მასპექტომეტრზე ჩამოთვლილი იყო თემები, ასწავლიდნენ პრინციპებს და კონკრეტულად იყო მითითებული რაზე ტარდებოდა ლაბორატორიული სამუშაოები და დაკონკრეტებული იყო ყველა მეთოდი. ზუსტად იყო დათვლილი საკონტაქტო საათები, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო PH ვინაიდან სტუდენტს უნდა სცოდნოდა მუავიანობის განსხვავება. სწორად ლაბორატორიაში დამოუკიდებელი სამუშაოს შედეგები იყო მათ მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები. სამაგისტრო ნაშრომი ტარდებოდა მაღალი წნევის ქრომატოგრაფზე, უჯრედულ კულტურებთან და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა გიორგი ქვარცხავას და განაცხადა, რომ განხილვის დროს მოსმენილი არგუმენტების და დასაბუთების საფუძველზე იკვეთებოდა რომ პროგრამაში არ იყო რაიმე ისეთი სერიოზული პრობლემა რომელიც დააზიანებდა მის მიმდინარეობას. გარკვეული შენიშვნები და რეკომენდაციები გახლდათ მარტივად გასათვალისწინებელი. მას ანიტერესებდა რატომ არ შეიძლებოდა პროგრამას მიელო აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით.

გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ ზოგადად სტანდარტებთან მიმართებით განხილვის დროს საბჭოს სხდომაზე გამოიკვეთებოდა ხოლმე გარკვეული პრობლემა, შემდგომ კენჭისყრაზე დგებოდა ყველა შესაძლო გადაწყვეტილება. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მათი დაწესებულების პროგრამამაც მიიღო პირობითი აკრედიტაცია, გეგმავდნენ რომ გაცნობოდნენ ოქმს, ემსჯელათ, გამოისწორებინათ გარემოებები და შემოეტანათ თავიდან.

საბჭოს წევრმა, ზურაბ გასიტაშვილმა განაცხადა, რომ გახლდათ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროექტორი, მათ აკრედიტაციის საბჭოს წინაშე გამოტანილი ჰქონდათ არაერთი პროგრამა და არაერთი პრობლემა შექმნიათ, მათაც შეეძლოთ ანალოგიური საჩივარი შეედგინათ, სადაც აღნიშნავდნენ რომ ადგილი ჰქონდა გარკვეული უნივერსიტეტების კერძო ინტერესს, თუმცა არასდროს უკადრებიათ მსგავსი რამ. მან

განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა მათი რექტორის პოზიციას პიროვნული დაპირისპირებით გადაეჭრა საკითხი.

18:20 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28²-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იყო საბჭოს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის საბჭოს ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით დამატებით ემსჯელათ და შეფასების ოთხდონიანი შეალისა და თითოეული შეალის განმარტების საფუძველზე მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.



2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს პოზიციის წარმოსადგენად.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, პაატა გოგიშვილმა წარმოადგინა დაწესებულების პოზიცია. მან აღნიშნა, რომ ასაჩივრებდნენ 2019 წლის 16 იანვრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N12 გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებული სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია.

პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საფუძველი გახდა საბჭოს მიერ მეორე სტანდარტის ნაწილობრივ შესაბამისად შეფასება. ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო საბჭოს ერთერთი წევრის, რომელიც არ იყო ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სპეციალისტი, მიერ გაედერებულმა მოსაზრებებმა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა სხდომაზე ყველა შენიშვნას პასუხი გასცა, ეს საბჭომ არ გაითვალისწინა და არც ოქმში იყო ასახული შესაბამისად. ასევე, არ იყო ასახული ოქმში სხვა გარემოებები: რომ აკრედიტაციის საბჭოს აღნიშნული წევრი არ იყო ბიზნესის სფეროს წარმომადგენელი და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ დადებითი შეფასება დამსაქმებლების ჩართულობის შესახებ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ საბჭო ეწინააღმდეგებოდა საკუთარ გადაწყვეტილებას, როდესაც პროგრამას მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით, რადგან ეს გულისხმობდა, რომ არსებული პროცედურების მიხედვით, განაცხადი უნივერსიტეტს უნდა შეეტანა 6 თვით ადრე, შესაბამისად, შენიშვნების გასათვალისწინებლად მათ 6 თვე დარჩებოდათ. ამ გადაწყვეტილებით, გამოდიოდა, რომ საბჭო მიიჩნევდა არსებული შენიშვნების გათვალისწინებისთვის საკმარისად 6 თვეს, რაც არღვევდა პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შინაარსს, რადგან ეს არ იყო შენიშვნები, რის შესწორებასაც 1 წელი დასჭირდებოდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან ქისტაურმა განაცხადა, რომ ოქმში რეალურად არ იყო გამოკვეთილი ცალკული შენიშვნა და რამდენიმე საკითხი ერმანეთს ფარავდა, რის გამოც, ძნელი იყო კონკრეტულ შენიშვნაზე ორიენტირება. ყველა შენიშვნა მიღებული იყო ერთი

წევრის მხრიდან, რომელიც არ წარმოადგენდა სპეციალისტს ამ დარგში. მან აკრედიტაციის საბჭოს წევრის, ირაკლი ბურდულის მიერ ოქმში ასახულ თითოეულ შენიშვნაზე ჰუნქტობრივად წარმოადგინა საკუთარი პოზიცია:

ინვესტიციები და პორტფელის მართვა - ლევან ქისტაური ამ კურსთან დაკავშირებულ რეკომენდაციას უსაფუძვლოდ მიიჩნევდა. მისი თქმით, უნივერსიტეტის მხრიდან უბრალოდ ტექნიკურად იყო გაპარული შეცდომა, რომ კონკრეტული წიგნის (ლ. ქოქიაური) გამოცემის წლად მითითებული იყო 2001, როდესაც ეს წიგნი რეალურად 2012 წლის იყო და ამის გადამოწმება საკითხების შემოწმებით შეიძლებოდა. სახელმძღვანელო მოიცავდა ინვესტიციებს ჩვეულებრივ აქციებსა და ფასიან ქაღალდებში, ასევე ინვესტიციების მართვას და საინვესტიციო პროექტის ფინანსურ ანალიზს.

საბჭოს წევრის მეორე შენიშვნაც (საბანკო საქმის სილაბუსთან დაკავშირებით) უსაფუძვლოდ მიაჩნდა პროგრამის ხელმძღვანელს. რადგან გამოყენებულ 2014 წლის სახელმძღვანელოში განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა საბანკო საქმის, კომერციული ბანკების როლი, ფუნქციები, მენეჯმენტი, ბანკების პასიური და აქტიური ოპერაციები, კაპიტალი, ბანკის ლიკვიდობა, რისკ-მენეჯმენტი, კონტროლი, აუდიტი და ა.შ. კურსის წაძლოლა შეუძლებელი იქნებოდა ცენტრალური ბანკების ფუნქციების გათვალისწინების გარეშე. შესაბამისად, წიგნშიც და სილაბუსშიც იყო ეს საკითხები დაფარული.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა აღნიშნა, რომ მან გადახედა სილაბუსებში და მოცულობებთან დაკავშირებულ შენიშვნას არც თვითონ იზიარებდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ნამდვილად საკმარისი იყო 1 სალექციო კურსი ისეთი ერთი კონკრეტული მიმართულებისთვის, როგორიცაა საბანკო ზედამხედველობა. მით უმეტეს, თვითონ ხელმძღვანელობდა ამ სამსახურს 7 წლის განმავლობაში და საკმარისი გამოცდილება ჰქონდა ამის დასადასტურებლად.

პროგრამის ხელმძღვანელი არც მესამე შენიშვნას ეთანხმებოდა, (რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრმა მიიჩნია, რომ პროგრამაში არ იყო ისეთი საგნები, როგორიც იყო კორპორაციული მენეჯმენტი, ფინანსური ინვესტიციები, ფასიანი ქაღალდები და ფინანსური ბაზრები) რადგან კურსში ისწავლებოდა კორპორაციების ფინანსები, მაკროეკონომიკა, საერთაშორისო ფინანსები, საბანკო საქმე, რაც მოიცავდა კორპორაციულ მენეჯმენტს, ფინანსურ ინვესტიციებს, ფასიან ქაღალდებსა და ფინანსურ ბაზრებს. მან დაამატა, რომ შენიშვნა წიგნის საკითხებისა და სილაბუსის თემებს შორის აცდენაზეც უსაფუძვლო იყო, რადგან თემების ჩამონათვალი ემთხვეოდა ლიტერატურას.

პაატა გოგიშვილის განმარტებით, საბჭოს წევრის მიერ გამოთქმულ შემდეგი შენიშვნა შეფასების ერთსადამავე მეთოდებზე, არ იყო არგუმენტირებული, ვინაიდან ორივე კურსის შემთხვევაში რელევანტური მეთოდები გამოიყენებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, პაატა გოგიშვილმა დაამატა, რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრი შენიშვნად ასახელებდა „ერთგვაროვან“ მეთოდებს და არა შეუსაბამოს, რაც გაუჟებარი იყო, რადგან სილაბუსები შექმნეს ლექტორებმა და გარკვეული მსგავსება მეთოდებში ერთიდაიგივე სპეციალობის ფარგლებში, მოსალოდნელი იყო. შეუსაბამო რომ ყოფილიყო,



შენიშვნა უფრო მისაღები შეიძლებოდა ყოფილიყო, ამ შემთხვევაში, კი არ იყო დასაბუთებული საბჭოს წევრის მოსაზრება და არ იძლეოდა ინფორმაციას, თუ როგორ შეიძლებოდა ამ პრობლემის მოგვარება, რა იგულისხმებოდა ერთგვაროვან მეთოდებში.

აკრედიტაციის საბჭოს წევრის ირაკლი ბურდულის შემდეგ შენიშვნაზე (რომლის მიხედვითაც, პროგრამაში არ ისწავლებოდა ფინანსური ბაზრები, გარე დაფინანსების საშუალებები და ა.შ.) უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საბჭოს წევრი არ იყო დარგის სპეციალისტი და ასახელებდა საგნებს, რაც უნდა ყოფილიყო სავალდებულო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში, რაც არ იყო მისაღები. საკითხები ისწავლებოდა შემდეგი სილაბუსებით - ინვესტიციები და პორტფელის მართვა (2, 3, 6, 8 თემები), კორპორაციების ფინანსები (3,5,8,9), საერთაშორისო ფინანსები (1,5,8) საბანკო საქმე (მე-10 ლექცია). ამასთან, პროგრამის კვალიფიკაცია იყო „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი“ და არა ფინანსების ბაკალავრი. პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ მანამდე უნივერსიტეტში არსებობდა ცალკე ფინანსების პროგრამა, ცალკე მენეჯმენტის, მაგრამ ამ ეტაპზე საჭირო იყო ზოგადი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე გადასვლა, რაზე დაკვეთა ბაზრიდანაც არსებობდა. ვიწრო სპეციალობების ჩაშლა მისაღები იყო მაგისტრატურის დონეზე.

ბიზნეს სამართალთან დაკავშირებულ შენიშვნას ეთანხმებოდნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები და უკვე ჰქონდათ შედგენილი ახალი სილაბუსი, მოწვეული ჰყავდათ ახალი ლექტორი. კონსულტაციები გაიარეს სამართლის პროგრამის ხელმძღვანელთან და რელევანტური ლიტერატურაც დაამატეს აღნიშნულ კურსს.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტების ჯგუფს სილრმისულად ჰქონდა შესწავლილი მასალა და დამსაქმებლებთან ურთიერთობა აღნიშნეს, როგორც დადებითი ფაქტორი. ლევან ქისტაურის თქმით, ეს წარმოადგენდა პროგრამის ძლიერ მხარეს, რითაც ამაყობდნენ, რადგან დამსაქმებლებთან ურთიერთობა არ ყოფილა ფორმალური და არც რამდენიმე შეხვედრით შემოფარგლულა. ისინი მუშაობაში იყვნენ ჩართულები, პირდაპირ ჰქონდათ დაკვეთები კონკრეტული საგნების სწავლებისა და გამოთქვეს დახმარებისათვის მზაობა. დამსაქმებლები წარმოადგენილი იყვნენ ფართო აუდიტორიით - ბანკები, ასოციაციები, საკონსულტაციო ჯგუფი, აუდიტორიული კომპანია, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და სხვა. მისი თქმით, დამსაქმებლებს არ მოუთხოვიათ სხვა დაამატებითი საგნები. დიდ ნაწილში თავიდანვე დაემთხვა მათი მოსაზრებები უნივერსიტეტის შეხედულებებს. არცერთი რეკომენდაცია არ დარჩენილა ყურადღების მიღმა. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა პროგრამა გააცნო გარე სპეციალისტებსაც, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც ამავდროულად თსუ-ს „ფინანსების და საბანკო საქმის“ კათედრის გამგე იყო და საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტს. ასევე, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი და პროგრამა გააცნეს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციას, როგორც წეიტრალურ მხარეს.

ლევან ქისტაურმა დაამატა, რომ სხდომის მიმდინარეობისას არცერთი სხვა წევრის მხრიდან არ გაუდერებულა რაიმე საწინააღმდეგო მოსაზრება და საბჭოს გადაწყვეტილება დაფუძნებული იყო ერთი წევრის მოსაზრებებზე, რომელიც არ წარმოადგენდა ბიზნესის



ადმინისტრირების სპეციალისტს. ამიტომ მათთვის გაუგებარი იყო პირობითი აკრედიტაციის მინიჭების გადაწყვეტილება.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰქონითხა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებით რა პოზიცია ჰქონდათ.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ აკრედიტაციის საბჭოზეც აღნიშნეს, რომ იზიარებდნენ და აკრედიტაციის საბჭოს სხდომის დღისთვის ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული და ასახული იყო პროგრამაში. პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე 100% ითვერ მოხერხდა ფორმის დაცვა. თუმცა შინაარსობრივად ყველა შენიშვნა გათვალისწინებული იყო, მაგალითად, 12 კრედიტით ვერ წარმოადგინეს ერთ-ერთი საგანი, თუმცა 9 კრედიტი მიანიჭეს.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, ზურაბ გასიტაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არც თვითონ იყო დარგის სპეციალისტი, მისი მოსაზრებით, ფინანსურ ბაზრებს უნდა მოეცვა ისეთი საკითხები, როგორიცაა საქონლის ფასის, ვალუტის ცვლილება და პროგნოზირება.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ აღნიშნული საკითხები ისწავლებოდა მაკროეკონომიკაში, ეკონომიკის საფუძვლებში, მაგრამ ფინანსურ ბაზრები წარმოადგენდა ფულად ბაზრებს, ფასიან ქაღალდებს, კომპანიის აქტივებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფასიანი ქაღალდების მიმდინარე თუ სამომავლო ღირებულების პროგნოზირების ბევრი მოდელი არსებობდა, ეს არ ისწავლებოდა საბაკალავრო საფეხურზე, შეიძლებოდა მხოლოდ მიმოხილვის დონეზე ესაუბრათ, თანაც, პროგრამა არ ანიჭებდა ფინანსების ბაკალავრის კვალიფიკაციას.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარეს გადასცა.

აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული შენიშვნები სხდომაზე ძირითადად გამოიტვა ირაკლი ბურდულმა და ის უკეთ შეძლებდა დასაბუთებას, თუმცა არ იმყოფებოდა საქართველოში. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის მხრიდან იმაზე აპელირება, რომ საბჭოს რომელიმე წევრი არ წარმოადგენდა დარგის სპეციალისტს, იყო არამართებული, რადგან მათ წინასწარ ეგზავნებოდათ მასალა, სწავლობდნენ და საჭიროების შემთხვევაში გადიოდნენ კონსულტაციებს და იწვევდნენ სპეციალისტებს სხდომებზე, რისი პრაქტიკაც არსებობდა. შესაბამისად, ირაკლი ბურდულის დისკრედიტაციის მცდელობა კარგად არ მეტყველებდა უნივერსიტეტზე.

პირველ არგუმენტან დაკავშირებით (ტექნიკური შეცდომა 2001 წლის მითითება 2012 ის ნაცვლად), ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრი არ იყო ვალდებული ცალკე მოებებნა გვერდები, შეედარებინა და ამის მიხედვით დაედგინა, რა ხდებოდა სინამდვილეში. ისინი სწავლობდნენ და მსჯელობდნენ იმ დოკუმენტაციის მიხედვით, რაც წარმოდგენილი ჰქონდა უნივერსიტეტს. ამიტომ ეს არ წარმოადგენდა საბჭოს ხარვეზს. ქეთევან ქოქრაშვილმა დაამატა, რომ არც ის იყო ფინანსისტი, მაგრამ სამუშაო გამოცდილებაში ახორციელებდა ეკონომიკური საქმიანობის მენეჯმენტს და თუ ახალ ლიტერატურაზე აპელირებდა

უნივერსიტეტი, მაშინ ჯობდა დასახელებული წიგნის უფრო ახალი ვერსია ჩაედოთ კურსში, რომელიც 2018 წელს გამოიდა (ლ. ქოქიაური), სადაც ინვესტიციებს 600 გვერდი ეთმობოდა და არა 2012 წლის გამოცემა.

მეორე არგუმენტან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ სილაბუსში არ იყო გაშლილი ბანკის საზედამხედველო ფუნქციები, რასაც ადასტურებდა საბანკო საქმის სილაბუსი, სადაც მხოლოდ მეორე თემა ეხებოდა ბანკის უმთავრეს ფუნქციებს, გასაგებია რომ აქ შედიოდა აღნიშნული საკითხები, მაგრამ ჩამონათვალი მოცულობითი და მნიშვნელოვანი იყო, რაც ერთი ლექციის ფარგლებში ვერ ამოიწურებოდა. გარდა ამისა, ამ სილაბუსში დამატებით ლიტერატურაში მოყვანილი იყო 2009 წლის რუსულენოვანი წიგნი. რაც მას არ მიაჩნდა მიზანშეწონილად, რადგან რუსული ენის მოთხოვნა პროგრამის წინაპირობას არ წარმოადგენდა, ამიტომ წიგნი ფორმალურად იყო მითითებული. მან დაამატა, რომ ზოგადად ფინანსებში მწირი და არცთუ სასიამოვნო იყო ხელმისაწვდომი, უმეტესობა გადმოქართულებული იყო და ისიც უხარისხოდ.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის დავა წლების შესახებ გაუგებარი იყო, რადგან არსებობდა ფუნდამენტური სახელმძღვანელოები და ახალი გამოცემა უძველად უკეთეს ხარისხს არ გულისხმობდა.

ქეთევან ქოქრაშვილმა უპასუხა, რომ ეს დამოკიდებული იყო საგნის სპეციფიკაზე, ზოგიერთ სფეროში შესაძლოა 10 წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილიყო, მაგრამ ინვესტიციები მაგალითად, რაც რეცულირდებოდა კანონით და მუდმივად იცვლებოდა, ვერ იქნებოდა სრულად გადმოცემული ძველ სახელმძღვანელოში. გარდა ამისა, აკრედიტაციის საბჭოსთვის არ იყო ცნობილი, რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა და ხელმძღვანელობდა არსებული დოკუმენტაციით, სადაც მითითებული იყო 2001 წლის წიგნი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ წიგნის 2001 წლის გამოცემა ფიზიკურად არ არსებობდა.

ქეთევან ქოქრაშვილმა განაცხადა, რომ ერთი სილაბუსის გარდა, მხოლოდ ერთ ლექციაში იყო განხილული კორპორაციული მენეჯმენტი. მართალია, უნივერსიტეტის გადასაწყვეტი იყო პროგრამის სტრუქტურა, მაგრამ მისი აზრით, კორპორაციული მენეჯმენტი მწირად იყო წარმოდგენილი და მისი ცალკე საგნად გამოტანა უკეთესი იქნებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა ლევან ქისტაურმა განაცხადა, რომ სტრატეგიულ მენეჯმენტში ისწავლებოდა ეს კურსი და გადაიტანეს მირითადი საგნების ბლოკში.

ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ ეს ცვლილება განხორციელებული იყო საბჭოს რეკომენდაციის შემდეგ, ახლა კი ის პოზიციას წარადგენდა განხილვის პერიოდში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, ქეთევან ქოქრაშვილმა განაცხადა, რომ ყველა სილაბუსში მითითებული იყო ერთიდაიგივე მეთოდი, თუმცა ირაკლი ბურდული საუბრობდა ორი სილაბუსის იდენტურობაზე, სადაც სპეციფიკა განსხვავებული იყო. ბიზნესის სამართალში აუცილებელი იყო შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის,



რეალური და სიტუაციური თამაშების გამოყენება. მან დაამატა, რომ ექსპერტებსაც ჰქონდათ მოსაზრება, რის მიხედვითაც, ბიზნესის სამართალი უნდა ყოფილიყო სავალდებულო, მით უმეტეს, როდესაც პროგრამის მიზნებში ეწერათ ამ შედეგზე გასვლა და ეს არ აძლევდა უფლებას უნივერსიტეტს, საგანი ყოფილიყო არჩევით ბლოკში. რაც მათ გაითვალისწინეს, ამჯამად სილაბუსი შეცვლილი იყო, თუმცა განხილვის დროს წარმოდგენილი კრიტიკას ვერ უძლებდა. ლიტერატურაც მოძველებული იყო იმდროინდელ სილაბუსში. 2010 წლის შემდეგ მეწარმეთა შესახებ კანონში, შრომის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო განხორციელებული. მან გამოთქვა იმედი, რომ სილაბუსში გათვალისწინებული იქნებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებები და არა ჩუქება.

ლევან ქისტაურმა განაცხადა, რომ ამ საგანთან დაკავშირებით პროფესიულ კამათს ვერ დაიწყებდა, სილაბუსი გადამუშავებული იყო და წარმოდგენილი პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს. გარდა ამისა, ბიზნესი ითვალისწინებული ჩუქების საკითხს.

ქეთევან ქოქრაშვილის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში, სხვა რაკურსში უნდა განხილულიყო და არა სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში, როგორც მითითებული იყო სილაბუსში.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, რომ ოქმიცა და საჩივარიც არ იძლეოდა მკაფიო სურათს და არ კვეთდა საკითხებს, რაზეც აკრედიტაციის სხდომაზე მიმდინარეობდა დავა. მისი მოსაზრებით, უნივერსიტეტის მხრიდან დამსაქმებლების ჩართვა კარგი იყო იმისთვის, რომ შეესწავლათ ბაზრის მოთხოვნა, თუმცა პროგრამის შინაარსის შედგენა პერსონალის საქმეს წარმოადგენდა, შესაბამისად სილაბუსებისა და კურსების კომპონენტის დონეზე დამსაქმებლების ჩართულობას დადებითად არ აფასებდა, როგორც უნივერსიტეტი წარმოაჩენდა ამას. მეორე საკითხი, რაზეც მან ყურადღება გაამახვილა იყო პროგრამის გარე ექსპერტიზა, ამ შემთხვევაშიც, შემფასებლები იყვნენ წარმოდგენილები შრომის ბაზრიდან, რაც ასევე ვერ ჩაითვლებოდა ადეკვატურ შეფასებაში, მხოლოდ ერთი მათგანი (საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე) იყო ამავდროულად პროფესორიც უნივერსიტეტში. მისი მოსაზრებით, ყველას თავისი განსხვავებული წვლილი უნდა შეეტანა პროგრამაში, უნივერსიტეტს შინაარსობრივი და სიღრმისეული დამსაქმებლებს კი შრომის ბაზრის ჭრილში.

უნივერსიტეტი საჩივარშიც აღნიშნავდა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება გააცნო არასამთავრობო ორგანიზაციას, საიდანაც უარყოფითად შეფასდა საბჭოს გადაწყვეტილება, ტატიშვილის მოსაზრებით, არც არასამთავრობო იყო ადეკვატური შემფასებელი, რადგან ის შინაარსობრივად ვერ განიხილავდა პროგრამას. მან დაამატა, რომ ეს ავტორიტეტები ემსახურებოდნენ გარეგნულ ეფექტებს. უნივერსიტეტის საჩივრის მიზანი შესაძლოა ყოფილიყო აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის დაბრუნება, თუ სააპელაციო საბჭო გამოარცევდა, რომ აკრედიტაციის სხდომაზე რაიმე საკითხი არ იყო განხილული, არ იყო გათვალისწინებული, ასეთს კი ის ვერ ხედავდა. წიგნის წელზე დავა მექანიკურ პრობლემას წარმოადგენდა, შესაბამისად მისთვის ბუნდოვანი იყო, რა არ გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭომ სხდომაზე.

უნივერსიტეტის რექტორმა, სერგო ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ საბჭოს უნდა ჰქონოდა ნდობა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიმართ, მათი დასკვნა კი იყო დადებითი. ეს იყო



პირველი სადაც საკითხი, ასევე, როდესაც ხელმძღვანელმა ადგილზევე წარადგინა მისი არგუმენტაცია, არ გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭომ.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ აკრედიტაციის საბჭოს ჰქონდა უფლებამოსილება დამატებითი გარემოებები გამოერკვია და განსხვავებული აზრი ჰქონოდა ექსპერტთა ჯგუფისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოს ფუნქცია აზრს დაკარგავდა. გარდა ამისა, საბჭო მხოლოდ უარყოფითისკენ არ წევდა ექსპერტების შეფასებას, ზოგჯერ პირიქით, ნაწილობრივი შეფასება გადასულა მეტწილში საბჭოს გადაწყვეტილებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი შემთხვევა მათ არ ჰქონიათ. პაატა გოგიშვილმა დაამატა, რომ საბჭოს უნდა ეხელმძღვანელა დებულებით, რომლის მიხედვითაც, ნაწილობრივ შესაბამისობაში მყოფი სტანდარტი საჭიროებდა არააკლებ 1 წლის მუშაობას, იმ შემთხვევაში კი, როდესაც 1-წლიანი პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა პროგრამას, ეს თავისთვად გულისხმობდა, რომ საბჭომ მიიჩნია, რომ ამ ხარვეზების გამოსწორება 6 თვეში იქნებოდა შესაძლებელი, ამით ის ეწინააღმდეგებოდა საკუთარ გადაწყვეტილებას.

აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭომ სტანდარტი შეაფასა ნაწილობრივ შესაბამისად, შესაბამისად, დადგა პირობით აკრედიტაციაზე კენჭისყრის საკითხი, დებულება კი ითვალისწინებდა არაუმეტეს 2-წლიან პირობით აკრედიტაციას, შესაბამისად საბჭო მოქმედებდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. გარდა ამისა, საბჭო შედგებოდა 16 წევრისგან, ყველა საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებდა, ხმები გაიყო და საბოლოოდ დადგა აღნიშნული გადაწყვეტილება.

ლევან ქისტაურმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ საბჭოს ამ გადაწყვეტილებით, გამოდიოდა, რომ ისინი თვლიდნენ რომ 6 თვეში გამოსწორებადი იყო პრობლემები და არ იყო საჭირო 1 წელი. მეტიც, ყველა შენიშვნა უკვე გამოსწორებული და ასახული იყო პროგრამაში ამ ეტაპზე. ქეთევან ქოქრაშვილმა განაცხადა, რომ დებულებით ერთწლიანი პირობითი აკრედიტაცია განსაზღვრული იყო, გარდა ამისა, გასათვალისწინებელი იყო შენიშვნების სიმძიმე და ის რესურსი, რაც უნივერსიტეტს ჰქონდა. შესაძლოა ერთი და იგივე პრობლემისთვის ერთ დაწესებულებას მეორისგან განსხვავებული დრო დასჭირებოდა. მან დაამატა, რომ ექსპერტებს დაკვენაში 8 რეკომენდაცია ჰქონდათ მიცემული პროგრამაზე, რვავეს ეთანხმებოდნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები საბჭოს სხდომაზე, ზოგი მუშავდებოდა, ზოგი უკვე გათვალისწინებული იყო, ნაწილი კი სამომავლოდ დამუშავდებოდა, ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენლები დაეთანხმნენ ირაკლი ბურდულის გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნასაც.

ლევან ქისტაურმა აღნიშნა, რომ რაც საბჭოს სხდომაზე გაუდრდა ირაკლი ბურდულის მიერ, როდესაც შევიდა პროფესიულ კამათში და შენიშვნები ჰქონდა საგნებთან მიმართებით და შინაარსთან, როდესაც ის არ იყო სფეროს სპეციალისტი, რაც მიუღებელი იყო. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, უნივერსიტეტის პროგრამებს შორის განსხვავება სწორედ მათ მიერ შერჩეულ ნიშაში მდგომარეობდა.

ლევან ქისტაურმა საბოლოოდ შეაჯამა პოზიცია და აღნიშნა, რომ 2001 წლის სახელმძღვანელოს მითითება ტექნიკური შეცდომა იყო, ზედამხედველობის ფუნქციები

გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსებში, მენეჯმენტის მიმართულებით ისწავლებოდა მარკეტინგის მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი, ბრენდმენეჯმენტი და ცალკე კორპორაციული მენეჯმენტის საჭიროება არ იდგა, მითუმეტეს, როდესაც პროგრამა ზოგად ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციაზე გადიოდა, ფინანსური ბაზრებიც წარმოდგენილი იყო პროგრამაში. დამსაქმებლებთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ გარე შეფასება ჩანაცვლებადი რა თქმა უნდა არ იყო, უბრალოდ დამსაქმებლების ხედვა გათვალისწინებული იყო პროგრამაში.

სოფიკო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებს 8 რეკომენდაცია ჰქონდათ მიცემული, რაც ნიშნავდა, რომ ისინი აუცილებლად გამოსასწორებელი იყო, ამის ფონზე, მაინც სრულიად დადებითი დასკვნა გამოვიდა, რაც გაუგებრობას იწვევდა.

ქეთევან ქოქრაშვილი დაეთანხმა სააპელაციო საბჭოს წევრს და განაცხადა, რომ ადგილზე მსჯელობის დროსაც მიმართა ექსპერტებს კითხვით, გადიოდა თუ არა პროგრამა შედეგებზე, დასკვნაში 8 რეკომენდაცია ეწერა, ზეპირად კი დადებითად წარმოაჩინეს ექსპერტებმა პროგრამა. მათ დაუდასტურეს, რომ პროგრამა შედეგზე გადიოდა. აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ექსპერტების კომპეტენციაში ეჭვი არ შეჰქონდა, მაგრამ ხშირად აწყდებოდნენ სიტუაციას, როდესაც დასკვნაში უფრო მძიმე მდგომარეობა იყო ასახული, ზეპირად კი ექსპერტები პოზიტიურად წარმოადგენდნენ პროგრამას. სოფიკო ლობჟანიძემ დაამატა, რომ ხშირად ექსპერტები რჩევებში წერდნენ იმას, რაც რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო და ამით ამსუბუქებდნენ დასკვნას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, პაატა გოგიშვილმა განაცხადა, რომ მთავარი იყო არა რეკომენდაციების რაოდენობა, არამედ სიმძიმე და დრო, რაც მათ გამოსასწორებას დასჭირდებოდა და ამ შემთხვევაში, 1 წლიანი პირობითი აკრედიტაციის მინიჭება დებულების პრობლემა იყო და შეცვლას საჭიროებდა.

ქეთევან ქოქრაშვილმა გაიმორა, შესაძლებელი იყო ერთიდაიგივე პრობლემის მოსაგვარებლად სხვადასხვა უნივერსიტეტს განსხვავებული დრო დასჭირებოდა, არსებული რესურსებიდან გამომდინარე.

19:30 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 19:50 საათზე.

საბჭოს თავმჯომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 241-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011წლის 4მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების 2011-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 287-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საპატრიარქოს წმიდა ანდრია განსახილველად დაუბრუნდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ბიზნესის ადმინისტრირების პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა
დასრულდა 19:55 საათზე.

თავმჯდომარე:
ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი:
გრიგორ ტატიშვილი

